ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N35

22.03.2024 წელი

12:00 საათი

ქ. თბილისი,

დემეტრე თავდადებულის N18ა

მიმდინარე წლის 22 მარტს, 12:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის გასვლითი სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გურამ ოქროპირიძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი) და **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის ხელმძღვანელი **შალვა მაისურაძე**, ცენტრის თანამშრომლები, საკრებულოს წევრი **მარიამ ზაქარიაშვილი** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 3 (სამი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის, **სტრუქტურული ერთეულის, დიდი დიღმის მულტიფუნქციური კომპლექსის** დასრულებული სამშენებლო სამუშაოების და მიმდინარე აღჭურვის პროცესის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.
   მომხსენებელი - შალვა მაისურაძე, ა(ა)იპ მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის ხელმძღვანელი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს

დიდ დიღმში მდებარე მულტიფუნქციური ცენტრის დასრულებული და მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების, ასევე ინვენტარით აღჭურვის შესახებ ინფორმაცია კომისიას ა(ა)იპ მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის ხელმძღვანელმა გააცნო.

შალვა მაისურაძე - მულტიფუნქციური ცენტრის სამშენებლო სამუშაოები 2019 წელს დაიწყო, ცენტრის მშენებლობა 9 479 კვ.მ ტერიტორიაზე განხორციელდა და სრული დატვირთვის შემდეგ, 10 000-ზე მეტ ბენეფიციარს მოემსახურება. ამჟამად დასრულებულია სამშენებლო სამუშაოების პირველი ეტაპი და აქტიურად მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოების მეორე ეტაპი (შიდა სამუშაოები) და ინვენტარით აღჭურვა. ცენტრში განთავსდება: ფეხბურთისა და კალათბურთის სპორტული დარბაზები, ტანვარჯიშის დარბაზი, სპორტული ორთაბრძოლების დარბაზი, ძიუდოს, კარატეს, ჭიდაობის და კრივის სექციები, ტრენაჟორების სივრცე და ფიტნეს დარბაზი, ორი საცურაო აუზი, საუნა, სპორტული ინვენტარის მაღაზია, მულტიფუნქციური მედიათეკა, საკონფერენციო დარბაზი, ხმის ჩამწერი სტუდია, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი და სივრცე სამაგიდო თამაშებისთვის. პროექტის ჯამური ღირებულება შეადგენს 13 149 838,38 ათას ლარს.

კომისიის წევრებმა მულტიფუნქციური ცენტრის მეორე ეტაპის სამშენებლო და აღჭურვის სამუშაოები ადგილზე დაათვალიერეს.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა.

აზრი გამოთქვეს:

გურამ ოქროპირიძე - სასიხარულოა, რომ მალე დასრულდება დიდი დიღმის მულტიფუნქციური ცენტრის მიმდინარე სამუშაოები, სადაც გათვალისწინებულია თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილი, სხვადასხვა სახეობისთვის განკუთვნილი სპორტული დარბაზები, ბიბლიოთეკა და ახალგაზრდული სივრცეები. ცენტრი ფუნქციონირებას უახლოეს მომავალში დაიწყებს და სრული დატვირთვით მუშაობისას 10 000-ზე მეტ ბენეფიციარს მიაწვდის მათთვის სასურველ სერვისს. აღსანიშნავია, რომ თბილისის სხვადასხვა რაიონებში გაგრძელდება მულტიფუნქციური ცენტრების მშენებლობა და ჩვენი მოქალაქეები ეტაპობრივად შეძლებენ აღნიშნული სივრცეებით თავიანთი საცხოვრებელი რაიონებიდან გაუსვლელად სარგებლობას.

ქალაქ თბილისის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო:

„ა(ა)იპ მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის, სტრუქტურული ერთეულის, დიდი დიღმის მულტიფუნქციური კომპლექსის დასრულებული სამშენებლო სამუშაოების და მიმდინარე აღჭურვის პროცესის“ შესახებ ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გურამ ოქროპირიძე